შეთანხმების ფურცელი

„საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის საქართველოში ფსიქიკური ჯანმრთელობის რეფორმის მხარდაჭერის მიზნით, ფსიქიატრიული დაწესებულებების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების პროექტის განხორციელების შესახებ“ წერილების გაცვლის გზით დასადები შეთანხმების თაობაზე

#	უწყება	შენიშვნა	შედეგი	კომენტარი
1	საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	შეთანხმების პროექტის მე–3 პუნქტში მოცემული საქართველოს მთავრობის ვალდებულება – საბაჟო და საგადასახადო საკითხებში დახმარების აღმოჩენისა და ასევე, გადასახადებისგან გათავისუფლების შესახებ, დამატებით უნდა იქნეს განხილული ერთი მხრივ, მიზანშეწონილობის, ხოლო მეორე მხრივ, საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი რეგულაციების, მათ შორის, საგადასახადო კოდექსის მე–2 მუხლის მე–7 პუნქტის ჭრილში, შესაბამისი კომპეტენტური უწყების პოზიციის გათვალისწინებით.	გათვალისწინებული იქნება. იხილეთ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პირველი შენიშვნა.	
		შეთანხმების პროექტის შინაარსის გათვალისწინებით, საპასუხო ნოტის მხარეს უნდა წარმოადგენდეს საქართველოს მთავრობა, წარმოდგენილი შესაბამისი უფლებამოსილი პირის მიერ.	გათვალისწინებულია.	წერილების გაცვლის გზით დასადებ შეთანხმებაზე, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრისთვის მთავრობის სახელით ხელმოწერის უფლებამოსილების მინიჭების თაობაზე

				შესაბამისი აქტის გამოცემისთვის საჭირო პროცედურების განსახორციელებლად საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს მთავრობის ადმინსიტრაციაში შესაბამისი მასალების მიწოდებას.
2	საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, კომპეტენციის ფარგლებში, ნოტების გაცვლის გზით შეთანხმების თაობაზე შენიშვნები არ გააჩნია.	გათვალისწინებულია.	
3.	საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	წარმოდგენილი პროექტის მე–3 პუნქტი შეიცავს დებულებებს, რომელიც ითვალისწინებს საგადასახადო შეღავათებს. გასათვალისწინებელია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილისაგან განსხვავებული საგადასახადო შეღავათების გამოყენების მიზნით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე–2 მუხლის მე–7 ნაწილით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, შეთანხება უნდა წარმოადგენდეს რატიფიცირებულ და ძალაში შესულ საერთაშორისო ხელშეკრულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მიზანშეწონილია წარმოდგენილი ნოტის პროექტის მე–3 პუნქტი დაზუსტეს, რომ	გათვალისწინებული იქნება.	საპასუხო წერილის ხელმოწერის შემდგომ შეთანხმება დაექვემდებარება რატიფიცირებისთვის საჭირო კანონით გათვალისწინებულ ყველა პროცედურას.

		საგადასახადო შეღავათების მინიჭება მოხდება საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით.		
		შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი ტექსტის ინგლისურენოვან ტექსტთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, მიზანშეწონილია სიტყვები „საბაჟო და საგადასახადო გადასახდელებისაგან განთავისუფლება“ შეიცვალოს სიტყვებით: „საბაჟო გადასახდელებისა და გადასახადებისაგან გათავისუფლება“.	გათვალისწინებულია. შეთანხმების პროექტის ქართულენოვანი ტექსტის მე–3 პუნქტში ფრაზა „საბაჟო და საგადასახადო გადასახდელებისაგან განთავისუფლება“ შეიცვალა ფრაზით: „საბაჟო გადასახდელებისა და გადასახადებისაგან გათავისუფლება“.	
4	საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო	მოწოდებულ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები არ გაგვაჩნია.	გათვალისწინებულია.	
5	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	სამედიცინო დაწესებულებაში მაიონებელი გამოსხივების წყაროს გამოყენების შემთხვევაში, „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონების თანახმად, საქმიანობა დაექვემდებარება ლიცენზირებას.	გათვალისწინებულია.	პროექტი ამ ეტაპზე არ ითვალისწინებს სამედიცინო დაწესებულებაში მაიონებელი გამოსხივების წყაროს გამოყენებას, თუმცა ასეთი აპარატურის მონტაჟის შემთხვევაში, აღნიშნული განხორციელდება „ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ“ და „ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების შესახებ“

				საქართველოს კანონების თანახმად.
6	საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	შეთანხმების მე–3 პუნქტთან დაკავშირებით გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მითითებულ ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს როგორც სახელმწიფო, მუნიციპალიტეტი (მაგალითად, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზა), ასევე – ლიცენზიანტი კერძო სამართლის იურიდიული პირი (მაგალითად, ტელეკომუნიკაციები). საქართველოს კანონმდებლობაში გამოყენებული ტერმინების გათვალისწინებით, იმისათვის, რომ ჩანაწერმა „მუნიციპალური პროექტები“ არ გამოიწვიოს აზრთა სხვადასხვაობა, მიზანშეწონილია, იგი შეიცვალოს ზოგადი ჩანაწერით – „ინფრასტრუქტურული პროექტები“.	არ არის გათგათვალისწინებული.	საქართველოში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საელჩოსთან 26.10.2016 შემდგარი ზეპირი კონსულტირების შემდეგ დაზუსტდა ნოტაში მითითებული ფრაზის „მუნიციპალური პროექტები“ მნიშვნელობა და ვინაიდან, საელჩოს ინფორმაციით „მუნიციპალურის“ ქვეშ ჩინური მხარე გულისხმობს მხოლოდ ადგილობრივად, სამედიცინო დაწესებულებების მშენებლობის ადგილზე განსახორციელებელ ღონისძიებებს. ვინაიდან ჩინეთის მხარე ინგლისურენოვანი პროექტის ცვლილებას არ იზიარებს, ტექსტი რჩება უცვლელი.
		ამასთან, აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თუ საქართველოს მხარე პასუხისმგებელი იქნება იმ პროექტების განხორციელებაზე, რომელიც გამომდინარეობს მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილებებიდან, მიზანშეწონილია, აღნიშნულის თაობაზე	გათვალისწინებული იქნება.	ჩინეთის მხარის მიერ პროექტის განხორციელებისთვის საჭირო ბიუჯეტის გამოყოფის/დამტკიცების შემდგომ, საჭიროების შემთხვევაში, მოხდება

მ. [illegible]

		ეცნობოს სენაკისა და თელავის მუნიციპალიტეტებს, რათა მათ მიერ პროექტების განსახორციელებლად აუცილებელი ფინანსური რესურსი გაითვალისწინონ მუნიციპალიტეტის შესაბამისი წლის ბიუჯეტში.		სენაკისა და თელავის მუნიციპალიტეტების ინფორმირება დამატებითი ფინანსური რესურსის შესაბამისი წლის ბიუჯეტში გათვალისწინების საჭიროების თაობზე.
7	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს, საკუთარი კომპეტენციის გათვალისიწინებით, აღნიშნული შეთანხების პროექტთან მიმართებით, შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.	გათვალისწინებულია.	
8	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თავისი კომპეტენციის ფარგლებში წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გააჩნია.	გათვალისწინებულია.	
9	საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	სასურველია, პროექტს დაემატოს შემდეგი დებულება: „მხარეები გამართავენ ერთმანეთთან კონსულტაციებს ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება წარმოიშვას ამ შეთანხმებიდან გამომდინარე ან მასთან დაკავშირებით“.	გათვალისწინებულია ნაწილობრივ.	საქართველოში ჩინეთის რესპუბლიკის საელჩოსთან 26.10.2016 გამართული ზეპირსიტყვიერი კონსულტაციების თანახმად, პროექტის მე-4 პუნქტის მიხედვით, ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებული კონკრეტული საკითხები განისაზღვრება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის

				მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს შორის ცალკე გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, რომელიც თავისთავად, მხარეებს შორის კონსულტირების შედეგად გაფორმდება. შესაბამისად, ამ ფრაზის დამატება ტექსტში საჭიროებას არ წარმოადგენს.
		პროექტის დასკვნით დებულებაში ფრაზას: „წინამდებარე ნოტა და თქვენი საპასუხო ნოტა ჩაითვლება როგორც შეთანხმება ორ მთავრობას შორის“ დაემტოს ფრაზა: „რომელიც ძალაში შევა თქვენი აღმატებულების საპასუხო ნოტის მიღების თარიღიდან“.	არ არის გათვალისწინებული.	აღნიშნული ფორმულირება ჩინეთის მხარის მიერ არ იქნა გაზიარებული.
		ყოველივე ზემოაღნიშნულისა და ქვეყნის საგარეო პოლოტიკური და ეკონომიკური პრიორიტეტების გათვალისწინებით, სამინისტროს მიზანშეწონილად მიაჩნია, წარმოდგენილი შეთანხმების დადება.	გათვალისწინებულია.	
10	საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	ჩინეთის მხარის მიერ წარმოდგენილი ნოტის მე–3 პუნქტის თანახმად, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მხარის მიერ მიწის ნაკვეთის გამოყოფას, როგორც საავადმყოფოების ასაშენებლად, ასევე, დროებითი სარგებლობისთვის,	გათვალისწინებულია.	

		მშენებლობის მიმდინარეობის პერიოდში, გაცნობებთ, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო მზადყოფნას გამოთქვამს, შუამდგომლობა გაწიოს ზემოაღნიშნული პროექტის განსახორციელებლად შესაბამის უწყებებთან, კლინიკების ასაშენებლად საჭირო (როგორც სამშენებლო, ასევე დროებითი) მიწის ნაკვეთების გამოსაყოფად;		
		რაც შეეხება პროექტისთვის ქვიშის კარიერისა და ნიადაგ–მოხსნილი ადგილის გამოყოფას; ჩინელი ინჟინრებისა და ტექნიკურ პერსონალის დახმარებას ვიზისა და ბინადრობის ნებართვის მიღებაში; ასევე, პროექტისთვის საჭირო მანქანა–დანადგარების, აღჭურვილობის, ჩინელი ინჟინრებისა და ტექნიკური პერსონალის საყოფაცხოვრებო ნივთების განბაჟებასთან და შემოტანასთან დაკავშირებული ფორმალობების მოგვარებას და ზემოაღნიშნული ნივთების ნებისმიერი ტიპის საბაჟო და საგადასახადო გადასახდელებისგან განთავისუფლების უზრუნველყოფას, გაცნობებთ, რომ აღნიშნული საკითხი სცილდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კომპეტენციას.	გათვალისწინებულია.	უწყებებს, წარმოდგენილი დასკვნების მიხედვით, აღნიშულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გააჩნიათ.

მ. ნიკოლაიშვილი

		შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აღნიშნულთან დაკავშირებით შესაბამისი უწყებების პოზიცია, კერძოდ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შუამდგომლობის შემთხვევაში, შესაძლებელი იქნება თუ არა ჩინეთის მხარის მოთხოვნების დაკმაყოფილება.		
		ამასთან, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ მართალია ნოტაში მოცემული ცალკეული საკითხები, როგორიც არის პროექტის განხორციელების პერიოდი, ვადები და სხვა კონკრეტული საკითხები საჭიროებს დაზუსტებას, აღნიშნული დარეგულირდება ნოტის პროექტის მე-4 მუხლში მითითებული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და საქართველოს მთავრობის მიერ განსაზღვრულ შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს შორის შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ.	გათვალისწინებულია.	აღნიშნული დადასტურებულია საქართველოში ჩინეთის რესპუბლიკის საელჩოსთან 26.10.2016 გამართული ზეპირსიტყვიერი კონსულტაციების პროცესში.